

საქართველოს მოსპობა

. და

ქართველ ერის გარუსება

და ამის შესახებ ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის
წინასწარმეტყველება.

ზ. ჭრილიძისა.

თვასი სამი მანეთი.

1919.

სფარმ „განათლება“ ღ. ლ. პიცნაგარი, გრაფის ქ.
თბილისი.



საქართველოს მოსწოდა

४३

ქართველ ერის გარუსება

და ამის შესახებ ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის
წინასწარმეტვებება.

34032

၆. အမြတ်ပေါင်း.

জ্ঞাসন সামন মানুষের।



1919

“ ရ. ၉. ဒေါက်ဒဇ္ဈာန်, ဂုဏ်သွေး ရ.
တပါလီဝါဆို.

ქართველი ერის და საქართველოს მოსპობის შესახებ ისფორიკოსის ბლაფონ იოსელიანის წინასწარმეტყველება.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა რაკი საქართველოს სამეფო ჩაიგდო ხელში, მის შემდეგ, მან მთელ საქართველოსაც მოავლო თავისი ბოროტების მახვილი და დაეპატრონა ქართველ ერს, შესაჭმელათაც მობოჭეს ხელი და განიზრახეს ამ ერის გარუსება, გადაგვარება, მით უფრო, რაღანაც ქართველთა და რუსთა სჯულიც ერთი არის, ამიტომ საქართველო რუსეთად უნდა იქცესო.

საქართველოში რუსების შემოსვლის დღიდგანვე მიეცნენ ქართვეჯების გარუსების ცდას, ბოროტების განხორციელებისთვის იგინი არათერს არ იშურებდნენ, ფულებს მრავლად ხარჯავდნენ, ამის საშუალებით ნელნელა ქართველებში მომხრეებსაც პოულობდნენ. ასეთ პირებს ისინი ჩინებს, კარგ ჯამაგირს, საჩუქრებს, თავაზს და ულუფასაც აძლევდენ. ასეთ გამყიდველ პირთა საშუალებით მოიმართა რუსთა და ქართველთ გაერთიანების მცნება, ანუ ქართველთა გადაგვარება,— გარუსება.

ქართველთ გარუსების მცნებამ ყველა ქართვე-

ლის თავში დაიკავა კარგა დიდი ადგილი. ამ კარგის მცულის ნიაღაგს მკაცრად ამზადებდა და ამაგრებდა ის გარემოებაც, რომ გარუსებულ ქართველებმა ხმა მაღლა დაიწყეს ქადაგება: რუსი და ქართველნი ერთნი ვართ, ჩვენი სჯულიც ერთია, ამიტომ ჩვენც უნდა უსათუოდ გავრუსდეთ და ერთნი ვიყვნეთო. მალე გაიწილადა საქმე და ყოველ ქართველის აუცილებელს მცნებათ შეიქმნა ქართველთ გადაგვარების აუცილებლობა. ამ აუცილებლობას სხვათა შორის ქართველნი ასეთის მცნებითაც რთავდნენ და ასაბუთებდნენ.

ქართული ენა რილას მაქნისია, ქართულ ენით პურს ვერა სჭიმს კაცი, ქართულ ენამ თავის დრო გაათავაო, ეხლა რუსობა არის, რუსული ენა უნდა ვისწავლოთ და არა ქართულიო. ჩვენი მთავრობის ენაც ხომ ეს არის და აბა ამის ლალატი როგორ იქმნება. რომელი ქართველიც რუსულ ენას არ ისწავლის, ის ქართველი ნასწავლ კაცათ არ ჩაითვლება. ამიტომაც ჩვენს აუცილებელს საქართველოში რუსული ენა შეადგენს და არა ქართული, ეხლა ქართული ენა გლეხების ენა გახლავთ და ნასწავლი ქართველების და თავად-აზნაურების რუსული ენა. ამ მცნების პროპაგანდას ქართველებში დიდათ ხელს უწყობდა ის პირობებიც, რომ საქართველოს

რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ რუსის
მთავრობის მახვილის დამყარებით ქართული ენა
ყველგან დევნას მეეცა, ყველა სამართველოებიდამ
ქართული ენა განდევნილ იქმნა და მის მაგივრ ყველ-
გან რუსული ენა იქმნა სახმარებლად მიღებული.
ქართველთ გონება ისე დაყრუვდა, თვალთ სინათ-
ლეც ისე დაუბნელდათ, რომ თუ რუსთა და ქარ-
თველთ ერთობა იყო. ასუ კი ქართველების გარუ-
სება საჭირო იყო, რატომ რუსების გაქართველება
კი აღარ უნდა მომხდარიყოს. არა, ამის შეგნება
ქართველებში აღარავის ჰქონდა. 1801 წ. შემდეგი-
დან რუსის მთავრობის პოლიტიკამ და ჩინ-ორდე-
რებმა ქართველნი ისე გარდაქმნეს, ისე ძირს დას-
ცეს, რომ ქართველთ სანატორელათ მხოლოდ და გა-
რუსება იქმნა გავრცელებული. ამას ქადაგებდა ქარ-
თველი შეგნებული ნაწილი და თვით ქართველთ
სამღვდელოებაც 1812 წ. შემდეგ.

რუსეთის მთავრობამ ჯერეთ ქართველთ შეგ-
ნებული წოდება და ძალა შეისყიდა, ჯერ ამათ დაა-
ვალი გარუსების შესახებ ქართველებში ქადაგება,
როცა ამ ნატერის ქადაგება ამ წოდებაში განმტკი-
ცდა, მის მერე მათ ხელი მიჰყვეს და 1812 წ.
ქართველი სამღვდელოებაც შეისყიდეს. სამღვდე-
ლოება უფრო მაღვე და აღვილად დაემორჩილა მათ

ბრძანებას და 1818 წ. რაკი საქართველოში რუსის
ეგზარხი მოვიდა, იმ დღიდამ ქართველ სამღვდე-
ლოებამ ეკლესიებში ხმა მაღლა და აშკარათ იწყეს
გარუსების შესახებ ქადაგება და ნატვრა მის, რომ
რაც შეიძლება ქართველები მაღლე გავრუსდეთო.

ასეთ მღვდელთა და ბერების წყალობით ქარ-
თველნი მოიძულებდნენ ქართველ ენას და ითვი-
სებდნენ რუსულს. ქართველები ისე ჯაუკულმართ-
დნენ, რომ 1818 წ. შემდეგ სიტყვა საქართველოც
კი შეიძულეს. ამ დროის, საქართველოს მთავარ-
მართებელი რუსეთში მინისტრს წერილს სწერს და
ატყობინებს, რომ „ქართველებმა რუსეთი ისე შეი-
ყვარეს, რომ მათ ჰკითხოთ თუ ვინა ხართ თქვენ,
და, რომ უთხრას ვინმე ქართველიო, ის მაშინათვე
ყვირილით გეტყვის, რომ მე რუსი ვარ და არა
ქართველიო“. ეს ცნობები მოყვანილია „კავკასიის
აქტებშიაც“.

უნდა მოგახსენოთ, რომ გასყიდულ ქართველ-
თა და ქართველ სამღვდელოების ბოროტებით 1820
წლიდამ საერთოთ ქართველნი ისე დაბრმავდნენ და
ისე გათახსირდნენ, რომ მათ თავიანთ დედა-ენათ
რუსული ენა მიიღეს და ამ ენის აღორძინების და
შესწავლის ცდასაც მიეცნენ. დაბრმავება და გათახ-
სირებაც შეიძლება და გადაგვარებაც, მაგრამ რო-

გორც ქართველნი გადაკეთდენ 1820 წ. ესე კი ყოვლად შეუძლებელია და გონებას მოუფიქრებელი.

ბოროტებამ ქართველებში დიდათ გაიდგა ფისვები და ყოველი ქართველი შეიქმნა მისი მონატრე და მღალადებელი. რომ მის შეილს უსათუოდ რუსული ესწავლა და არა ქართული. სასწავლებლებში ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს ასე: „ჩვენს შეილებს რუსული ასწავლეთ, ჩვენ მარტო რუსული ენის შესწავლა გვინდა, ქართული საჭირო აღარ არისო“.

ქართველთ ეს უკულმართი მოსაზრება რუსის მთავრობის წინაშე საქვეყნოთ იქმნა ალიარებული. ეს, რასაკვირველია, რუსის მთავრობისათვის დიდათ მოსაწონი იყო და საქებიც ა ეთი ქართველნი მათგან. ასეთებს მთავრობისაგან საჩუქრებიც ეძლეოდათ, ჩინები და პატივისცემაც.

ქართველები და ნამეტურ თავად-აზნაურნი და მასთან შეძლებული ნაწილიც იმას სჩადიოდა და ასრულებდა, რაც რუსის მოხელეებს სურდათ საქოთველოში, ქართველი სამღვდელოება და ეპისკოპოსნი და ბერებიც იმას ქადაგებდნენ, რაც რუსის ეგზარხოსებს სურდათ, რაკი რუსის ეგზარხოსებმა სამღვდელოება ხელში ჩაიგდეს. მას შემდეგ ქართ-

ველს ეკკლესიებში რუსულ ენაზედ წირვა-ლოცვა
და გალობაც მოაწყეს, საქმე ისე მოიმართა, რომ
მალე ქართველ მიცვალებულებს რუსულათ დაუწ-
ყეს წესის შესრულება, ასევე ქორწინება და სხვაც
ბევრნი ასეთნი. თფილისის ეკკლესიებშიც კი და ნა-
მეტურ სიონში მოსპობილ იქმნა ქართულ ენაზედ
წირვა-ლოცვა და ლაპარაკიც კი.

მალე შესრულდა რუსის მთავრობის ბოროტი
ნატვრა და მით გაიჩარხა საქმე: ქართველნი გახდ-
ნენ მოძღვლენი თავის დედა ენის, საქართველოსი,
და მის მაგიერ მათ მიითვისეს რუსული. იგინი ყველ-
გან მოურიდებლივ ქადაგებდნენ, რომ დღეის შემ-
დეგ ჩვენი ენა რუსული უნდა იყოს და არა ქარ-
თულიოთ. ასე რომ ამ დროის პირქუშ ქართველებს
ალარათრის აღარ ერიდებოდათ და დღე და ლაშ
სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ გარუსების გავრცე-
ლების ქადაგებაში ყოფილიყვნენ.

მართლაც საქმე გაეწყო მალე ისე, რომ ქარ-
თველ კეთილშობილთ და ზოგთ სამღვდელოთა
ოჯახებშიაც. ქართველებმა რუსულით იწყეს კაკანი.
ამ კაკანის წყალობით ქართველთ გარუსება საქე-
ბურ საგნათ და საქმეთ გახდა. ჩვენდა სამწუხაროთ
და ქართველი ერის ისტორიის სამარცხვინოთ, ქარ-
თველებმა, რასაკვრელია, რუსის მთავრობისაგან შე-

სყიდულება, გარუსების ნატვრას ჰქალაგებდნენ არამც
თუ მარტოთ თავიანთ ოჯახში, არამედ კარშიაც,
ყველგან საჯაროთ, სწორეთ ამ გარემოებისა და ამ
ღროის ქართველთ უკუღმართობაზედ სწერს ილია
ჭავჭავაძე თავის პოემა „პასუხში“ შემდეგს სიტ-
ყვებს:

თქვენ არ ხართ ისა, რომ დვიძლი ენა,

ბრძანებით დასთმეთ ადმოსაკვეთათ,

შიშით არც კარში და ადარც ხალხში,

მას ადარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენათ.

ილია ჭავჭავაძემ ეს სიტყვები მიუძღვნა პოეტ
გრიგოლ ორბელიანს, საპასუხოთ მის შესახებ, რომ
გრიგორ ორბელიანის ღროის ქართველნი ილია
ჭავჭავაძის თანამედროვე ქართველ მწერლებს, ქარ-
თული ენის არ ცოდნას და ლალატს სწამებდენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის სიტ-
ყვები ნათლად სახვენ 1830 წ. ქართველთ ვითა-
რებას და თავიანთ დედა-ენის გმობას, ქართული
ენის გმობის და დავიწყების ცდის თვით ქართველ-
თაგან, რომ ცხადია და მართალი. ამას დაასაბუ-
თებს კიდევ შემდეგი ცნობები, რაც მოთხრობილია
პოეტის ვახტანგ ორბელიანისაგან და თვით ილია
ჭავჭავაძის მოქამათის პოეტის გრიგორ ორბელიანი-
საგანაც.

ერთ დროს მე ვბეჭდავდი ცალკე წიგნათ პო-
ეტ გრ. ორბელიანის ლექსებს. ამ ლექსების და-
ბეჭდის და კორექტურის გამო გრ. ორბელიანთან
ხში' ად დავდიოდი. ერთხელ გიახელით გრ. ორ-
ბელიანთან, მიუტანე ახალი ქართული წიგნები. მი-
სალმების შემდეგ წიგნები სტოლზე დავაწყე. ამ
დროს მე დავინახე პოეტის წინ სტოლზედ ქართუ-
ლი გაზეთი „დროების“ ერთი ნომერი, რომელსაც
ზედა პირზედ ეს ლექსი ეწერა:

„ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა, ვერა
და არც სჯერა, რომ მან წერა ვერ ისწავლა, ვერა ვერა“.

სერგეი მესხი გახლავთ გაზეთ „დროების“ რე-
დაქტორი და ქართულ მწერლობაში კარგათ დამ-
სახურებული და ამაგდარი თავ-დადებული მოღვა-
წე, თვით ჩემს მასწავლებელთაც მე მესხს ვაღვია-
რებ და ამან ამაღებინა ხელში კალამი და წამაჭეზა
მწერლობისათვის.

ასეთი კაცის გაკილვა ხსენებულის სიტყვებით
მე დიდათ მეუცხოვა, მეწყინა კიდეც და გრიგოლ
ორბელიანის წინაშეც ეელარ დავითმინე და მთავარ-
მართებლის ხელქვეითს პოეტს მორიდებით მოვახსე-
ნე შემდეგი სიტყვა: „ბატონო გრიგოლ! სერგეი
მესხმა ქართული ენა ძრიელ კარგათ იცის. თქვენ
დაგვიწერდით თქვენებურს გრამატიკას და წასაკით-

ხათ გვიბოძებდით. იქიდამ ისწავლიდა მესხი და სხვებიც ისწავლიდნენ წერას და მის მერე ჩვენც ისე ვილაპარაკებდით და ვსწერდით, როგორც თქვენა გსურთ და ბრძანებთ.

მე რომ ამ სიტყვას ვეუბნებოდი, სწორედ ამ დროს იქ შემოვიდა აღრინდელი უურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივან ივანის ძე კერესელიძე. მე სიტყვა დავამთავრე. ივანე კერესელიძემ სალამი მისცა პოეტს. იმავ წერის გრიგოლმა ივანე კერესელიძეს მიმართა ასეთი სიტყვებით: „ივან ივანიჩ! ერთი შეხედეთ ზაქარიამ რა სთქვა: სერგეი მესხმა ქართული ენა ძლიერ კარქათ იცისო“.

ამ სიტყვების გათავების შემდეგ ამ თ გადიხითხითეს და ლაპარაკიც დაიწყეს გაზ. „დროებაზე“ ოაქართულ ენის უცოდინრობის შესახებ.

სწორეთ ამ დროს, აქვე გიახლათ მეორე პოეტი ვახტანგ ორბელიანი. ამანაც სალამი მისცა და მერე მათს ლაპარაკში ჩაება. მცირე ხნის შემდეგ გრ. ორბელიანმა შემდეგი სიტყვა სთქვა ჩემი შენიშვნის პასუხი.

ზაქარია! შენ რომ სთქვი, რატომ თქვენ თქვენებური გრამატიკა არ დაგვიბეჭდეთო. შენც მართალი ხარ, მაგრამ მაგაზედ აი რას გეტყვი. ჩვენს დროში ქართული ენა აღარავის ახსოვდათ, ყველა

„შორუსკობას“ სჩემობდა. მაშინ ქართული ენა გლე-
ხების ენათ იყო მიღებული და ჩვენს ენათ კი რუ-
სული ენა ითვლებოდა, ქართული აღარავის ახ-
სოვდა. ყველა გარუსების გზაზედ იყო დამ-
დგარი. ჩვენ თუ რამეს ვწერდით, ის იყო ჩვენის
ნაცნობებისთვის და მეგობართათვის. ქართულს ვინ-
და რა თავში იხლიდა, — არავინ. ეს სულ ივან ივა-
ნიჩის ბრალია, რომ მაფან აიტეხა და ქართული
უურნალ „ცისკარი“ გამოსცა, თორემ ქართული
აღარავის აგონდებოდათ და აბა ჩვენ ვიღასთვის უნ-
და დაგვეძეჭდა.

ამ გარდმოცემას, რასაკვირველია, ივანე კერე-
სელიძეც დაემოწმა და ესეც დაეთანხმა მას. ამ ცნო-
ბით ცხადი საქმეა, რომ ილ. ჭავჭავაძის საყვედუ-
რის სიტყვებს ნამდვილი ისტორიული ხასიათი ეძ-
ლევა და საბუთდება ყოველივე. ივ. კერესელიძის
სიტყვის დამთავრების შემდეგ, ვახტანგ ორბელიან-
მაც სოჭვა შემდეგი სიტყვა, რომლითაც მას წადი-
ლი ჰქონდა, რომ გრ. ორბელიანის სიტყვა და შე-
ნიშვნა დაესაბუთებინა თავისი მოგონებულის სიტ-
ყვით.

ბატონო გრიგოლ დიმიტრიჩ! აი რა უნდა მო-
გახსენოთ ამის შესახებ, რომ თქვენა ბრძანეთ ქარ-
თული აღარავის უნდოდათ, მე და ნიკო (ბარათა-

შვილი) 1830 წ. ჩვენსა ვიყავით, ერთ ოთახში ვიხ-
ხდით და ჩვენსა და სხვების ხელორაწერ ლექსებს
ვარჩევდით, ამ დროს ჩვენთან ოთახში შემოვარდა
გაბრაზებული ჩვენი ბიძა და ჩვენ წინ დაინახა ქარ-
თული წიგნები, მაშინათვე ჩვენ დაგვიწყო ყვირი-
ლი, თქვე წყეულებო, თქვენ მაგაების წერას კი ნუ
მისდევთ, აი ამის წერა ისწავლეთ, რომ ჩემს ძმასა
და მტერს წინ დაუდგე და ასეთის რუსულის ქა-
ღალდების ძალით დავამარცხო, თუ არა და მე თქვე-
ნი ქართული ნაწერები და ლექსები რათ მინდა, ვერ
გაიგეთ, რომ ქართული ენა ეხლა აღარ ვარგა და
რუსული ენა არის საჭირო*.

ვახ. ორბელიანის მოწმობით, მათ ბიძას ხელ-
ში რუსულათ დაწერილი აპელაციის ქაღალდი სჭე-
რია. ეს პირი ისე გაცეცხლებულა, რომ მივარდნი-
ლა და სტოლზედ რაც რამ ქართული ნაწერები
ყოფილა, მოუხვეტია და სულ ბუხარში შეუყრია და
დაუწვამს. ეს ცნობებიც მოთხრობილია ნამდვილ
ვახ. ორბელიანისაგან და უნდა მოგახსენოთ, რომ
ესეც ცხადათ ასაბუთებს ილ. ჭავჭავაძის მოწმობას.

საქართველოს ერის მოსპობის საქმეს, საქარ-
თველოს ხსენების გმობას და სხვა ასეთ ბოროტ გა-
რემოებას და აღორძინებას დიდათ დაეხმარა შემდე-
გი პირობებიც: რაკი 1832 წ. გამოაშკარავებულ

იქმნას საქართველოს განმანთავისუფლებელის საზო-
გადოების არსებობანი, რომლის მეთაურათაც ირიც-
ხებოდა სოლ. დოდაშვილი. მას შემდეგ რუსეთის
მთავრობამ ქართველებს დევნა და ბოროტება უფ-
რო გაუორკეცა. 1832 წ. აღკრძალულ იქმნა ქარ-
თული წიგნების გამოცემანი თფილისში, დახურულ
იქმნა ყველა ქართული დრო გამოცემანი. წაშლილ
იქმნა ყველა ის დაწესებულებანი, რომელთაც ასე
ეწერათ: „ქართული კაზიონი პალატა, ქართული
ხაზინა, ქართული საექიმო გამგეობა, ქართული სუდა
ი უპრავა, საქართველოს მთავარმართვებელი“ და
სხვაც ბევრნი ასეთნი. ამიერიდამ ყველა ამათ მო-
ესპო სახელი ქართული და ქართულის მაგიერ ჩა-
წერილ იქმნა კავკასიის. ერთად ერთი ეგზარხოსის
სახელი დარჩა, რომ არ წაშალეს. ეს ვგონებ მი-
ტომ, რომ იგი სჯულის ნაწილი გახლავთ და ვაი-
თუ ხალხი იჯანყდესო და მიტომ ამას ხელი არ ახ-
ლეს.

ამიერიდამ მართლაც საქმე ისე მოაწყო, რომ
ქართული ენა ჩავარდა დიდს საგმობელს და სა-
დევნელს პირობებში. ქართული ენა გახდა ქართ-
ველთათვის მეტ ბარგათ და ყველა ქართველს თით-
ქმის მცნებათ გაუხდა გადაგვარება, ანუ გარსება,
ამაზედ ლაპარაკი და ნატვრა ქართველებს სანაქე-

ბოთაც მიაჩნდათ და ამასვე დიღათ ხელს უწყობდა
ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა და ნამეტურ სა-
მღვდელოება, ასეთ პირებზედ აკაკი ამბობს:

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
გეღარც რუსულს ახერხებენ,
ქართულ ენას არათ ხდიან,
შვილებს კარგათ არა ზრდიან
ტრედიაკოვსკის აქებენ
და რუსთაველს კი დასცინიან“.

ესევე პოეტი ხომ მეორე უფრო მკაცრს შე-
ჩვენებას ამბობს გადაგვარების შესახებ, მაგ.; .

გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი შირადი დირსება
უთველებან დაჩაგრულია“ -ო და სხ.

ასე თუ ისე, მაინც რუსეთის ბოროტმა პო-
ლიტიკამ თავისი გაიტანა და ქართველთ გარუსების
მონატრენი გაჩნდნენ ქართველებში ისე მრავლად და
ისე მძლავრათ, რომ პირად ლაპარაკს გარდა გაჩნ-
დნენ ისეთნიც, რომელთაც ქართველთ გარუსების სა-
ქმეს აუცილებელ საჭიროებათ სთვლილნენ და ამ
საჭიროებას ხშირათ მეცნიერულის მოსაზრებით და
სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნების საშუალებითაც
ასაბუთებდნენ.

სხვათა შორის ასეთი პირნი იყვნენ თვით მაღალ წრის წოდებაშიაც და სწორეთ ამის მონატრე იყო ადრინდელი მთავარმართებლის დირექტორი, გიორგი მუხრანსკი. კაცი თავის დროის კვალად მთელს საქართველოში კარგით ცნობილი და სახელოვანი და მასთანვე იგი იყო დიდი რუსოფილი, გადაგვარებული არამც თუ მარტო გულით, არამედ სულითაც და მთლად მთელის თავის მოდგმით, მოქმედებით და ცხოვრებითაც. იგი არც უგონო კაცი იყო, მაგრამ დიდის თანამდებობასთან და ჩინებთან სასტიკათ გაბრაზებულიც იყო და ქართველთ წინააღმდეგ გაბორეტებული. იგი იყო ნამდვილი სახე რუსეთის მთავრობის ბოროტების და ბიუროკრატიულის ნაწილის.

ამიტომაც ეს კულამელა გაიძვრა პირი, კარგათ შეამკო ილ. ჭავჭავაძემ თავის „ამოცანებში“, ლექსებითაც პასუხი მიუგო გრ. ორბელიანს. აქ ამ გიორგი მუხრანსკიზედ ილ. ჭავჭავაძე ამბობს შემდეგ სტრიქონებს:

„გოხტაა და დობე მძვრალა,
ბატარა და ჩამომხმარი,
ცხვირ ნისკარტა, ნიკაბ წვეტი,
უქმაური განს გამდგარი.
ჭკუთ და გულით მოცვეთილი,
ჭვეჭანაზედ უქმად გდია,

თვით მაღლა ზის, ქვეუნის საჭმა,
მასც ფეხებზე ჰქიდია".

დიახ, კეშმარიტათ, რომ ეს სტრიქონები ჩინე-
ბულათ ხატავენ ჩვენს მტერს. მე ვიცნობდი პირა-
ლათ გ, მუხრანსკის და უნდა მოგახსენოთ, რომ ი-
წავჭავაძის სიტყვები მის შესახებ სწორე და მართა-
ლი გახლავთ,

ვიტყვი, რომ გ. მუხრანსკი არამც თუ გარუ-
სებული იყო და მოძალე ქართველთა, არამედ იგი
ქვემძრომი იყო და მთავრობის დიდი მომხრე. ეს
იდიონექტორი კაცი, ასეთი დიდი თანამდებობის კა-
ცი, ქართველთ საღალატოთ ჯაშუშის როლსაც კი
თამაშობდა თურმე. ეს რომ ასეა და მართალი არის
ამას ასაბუთებს შემდეგი გარემოება:

აღრინდელ „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერე-
ლიძემ აი რა მიამბო, რაც სიტყვა სიტყვით მომ-
ყავს აქ:

1860 წ. სტამბის მანქანა გამიტყდა, უურნალ
„ცისკარს“ საქმე გაუჭირდა და დახურვა ელოდა.
მე ჩემი გასაჭირი იმ დროის ქართველობას ვაუწყე,
საბეჭდი დაზგის საძენათ დახმარება ვთხოვე. გ.
მუხრანსკიმ მკითხ რამდენი გინდა ფულიო. მე უთ-
ხარი, რომ 1000 ნეთი მეთქი. იმან მითხრა: ხვალ
მთავარმართებლის რჩევაში შემოიარე და მე მოგი-
ხერხებ მაგ ფულიო.

მეორე დღეს მე შევიარე გ. მუხრანსკისთან,
ჩემის სახელით თავის ხელით თხოვნა დაწერა. მე
სახელი და გვარი მოვაწერე და მივეცი თვით მასვე,
თხოვნას მან დაუმატა შემდეგი: „რადგანაც ივ. კე-
რესელიძე და მისი უურნალი „ცისკარი“ მომხრეა
ჩვენი და რუსის მთავრობის პოლიტიკას და იგი არც
გარესებას ეწინააღმდეგება, ამიტომ საჭიროა, რომ
მას ერთ დროულათ დახმარება მიეცეს 1000 მან.“.

ივ. კერესელიძემ სთქვა: გ. მუხრანსკის ასეთი
აზრი ჩემ შესიხებ ძალიან მეუცხოვა, მაგრამ უარი
ველარ უთხარი და მე წაველ დაფიქრებული. მესამე
ღღეს მე მიველი და მუხრანსკის სიტყვით მომცეს
1000 მან. ასეთი გავლენა ჰქონდა მუხრანსკის მთავ-
რობაზედ. მის სიტყვას ყოველთვის გასავალი.

გ. მუხრანსკი ისეთ როლს თაშიშობდა თურმე,
რომ მის დროს. ეს ბედი ბევრს ქართველს გენე-
რალს შურდა და ენატრებოდა. შეიძლება, დომ გ.
მუხრანსკი, ქართველი თავადის შვილი, დიდი ყმა
და მამულის პატრონი, დიდი თანამდებობის კაცი
და დიდი ორდენების მქონი, თავის ნებით არ გა-
დაგვარევულიყოს და არც ქართველთ მტერი გამხ-
დარიყოს, შესაძლებელი იყო ეს, მაგრამ იმ დროის
რუსის მთავრობის პოლიტიკა ისეთი ბოროტი იყო
და ეშმაკური, რომ იგი ძალაუნებურათ იმრრჩილე-

ბოდა ყველა ქართველ მოწინავე კაცს და მათს
გულში ქრთამებით და ორდერების მიღებით ნერ-
გავდა გარუსების ტრფიალების და გადაგვარებას.

გ. მუხრანსკი თავის სიცოცხლეში ცხარე მო-
ლაპარაკე და მოტრფიალე იყო ქართველთ გარუ-
სების. ამის შესახებ სჯას იგი არსად იშურებდა,
ქართველებში ყოველთვის ლაპარაკობდა თამამათ და
პატარა ტომების გადაგვარების აუცილებლობას სხვა-
და სხვა მეცნიერულის სხოლიობითაც რთავდა. იგი
თვით ისტორიულის მაგალითებითაც კი სჯიდა ხოლ-
მე, რომ ქართველები მომავალში ისევ ისე მოვის-
პობით, როგორც ევროპაში ესა და ეს ერნი მოის-
პენო. ასეთის ქადაგებით გ. მუხრანსკის გულს ერთ-
ხელ გაძლომა ელირსა, ამიტომ მან პირადათ ლაპა-
რაკს თავი დაანება და მან მწერლობითაც დაიწყო
სჯა და კამათი ამ საგნის შესახებ. სხვათა შორის
მუხრანსკი თავის თეორიას ქართველების მოსპობის
შესახებ ასერის მაგალითებითაც ასაბუთებდა:

საქართველო რომ მოისპობა და ქართველი ერი
რომ გაჰქრება, ამას ეჭვი არ უნდა, ამის მსგავსს მა-
გალითებს ჩვენ ბუნებაშიაც ვხედავთ, მაგალითებრ:
დიდი თევზი პატარა თევზს სჭამს, დიდი მხეცი პა-
ტარა მხეცს სჭამს, დიდი ნაღირი პატარას ასევე,

დიდი ჭია პატარა ჭიას, ობობაც კი სწუწნის თავის
ქსელში გაბმულს მწერს, პატარა ბუზს.

ამიტომ ჩვენ მომავალი არა გვაჭვს, ჩვენი არ-
სებობის საჭმე წასულია, ამიტომ უფრო უკეთესია
ჩვენი გადაგვარება და გარუსება.

ამ პირის აზრებს ქართულს ენაზე პასუხი გას-
ცეს: გ. წერეთელმა გაზ. „დროებაში“ დაბეჭდა ფე-
ლეტონი, სახელდობრ „სახარება“, რომელი „სახა-
რებაც“ ასე იწყება:

„მას უამსა შინა კაცი იყო ვინმე, რომელმანც
უარი ჰყო თავი თვისი, სამშობლო და ძმანი თვის-
ნი და უქადაგებდა მტერსა, რათა მათ აღეხოცნათ
ძმანი მისნი, შურმან მტერს დაუბრმავა თვალები“
და სხვაც ასეთი მოტივები.

პეტროგრადს ქართველ სტუდენტებმა რუსუ-
ლათ გასცეს პასუხი. თფილისში ერთიც ლექსი გა-
მოუთქვეს, რომელსაც იმ დროს ქალხში მღეროდ-
ნენ. ეს ლექსი მაშინ სახალხოთ გადაიქცა. აქ მომ-
ყავს ამ ლექსის რამდენიმე სტრიქონი:

„ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს,

ხი მთას ვლიდეს სიარულითა,

ა შვილს შობდეს, დედა შვილს კლავდეს;

კელი თავს ადგას ჭიანერითა,

მაშინ მოგართვას, რაც რომ გწადიან,
ჩემთ კეთილთ სიხარულითა“.

მუხრანსკის პასუხი მისცა აგრეთვე პეტრე უმი-
კაშვილმა. ეს პასუხი დაიბეჭდა 1872 წ. ფურნალ
„კრებულში“, სახელდობრ წერილის „მცირე ტომ-
თა ენებზედ“. ესეც მეტათ კარგი კეთილშობლური
პასუხი გახლდათ მუხრანსკის თეორიის შესახებ. ერ-
თი სიტყვით, მოკლეთ უნდა ითქვას, რომ ქართვე-
ლი ერი მუხრანსკის მოძღვრებას სასტიკის წინააღ-
მდეგობით დახვდა. ქართველ საზოგადოებაში წერი-
ლებით წერა გარდა, საუბარი და ლაპარაკიც ხში-
რათ იმართებოდა და მუხრანსკის ბევრს ემდურე-
ბოდნენ ამაზედ.

გ. მუხრანსკის აზრებს პატივის მცემლები იმ
დროის რუსეთში უფრო მრავლად ჰყვანდნენ, ესე-
თი რუსნი გ. მუხრანსკის დიდათ აქეზებდნენ და
მის აზრებს მსოფლიო მნიშვნელობას აძლევდნენ,
ამით გ. მუხრანსკიც უფრო ქეზდებოდა. სხვათა შო-
რის მოხდა ასეთი საქმეც:

1873 წ. თფილისს გარდაიცვალა გენ. მამუკა
ორბელიანი. ამის შესახებ იმ დროს თფ. კლასიკუ-
რი გიმნაზიის დირექტორმა უილიხოვსკიმ ლექცია
წაიკითხა და ამ ლექციაში ილაპარაკა ასე:

გენერალი მამუკა იყო კარგი ქართველი და
მასთანვე რუს მთავრობის ერთგული გენერალი...
რუსეთს საქართველოზე დიდი ამავი აქვს დადებუ-
ლი, დიდი შრომა და სისხლი აქვსთ რუსებს და-
ღვრილი. ქართველები უნდა ეცადონ, რომ რუსე-
თის მთავრობის წინაშე ეს დავალება გამოისყიდონ.
ეს მოხდება მაშინ, როცა ქართველებში მამუკასთა-
ნა ერთგული კაცები მრავლათ გამოვლენ.

ქართველნი ამის ცდას უნდა მიეცნენ უსათუ-
ოთ, რადგანაც მათთვის ამას მეტი სხვა ალარც
არის რამე დარჩენილი. სულ ერთია, მათ მომავა-
ლი მაინც არა აქვთ, როგორც პატარა ხალხი, ამი-
ტომ მათთვის ყველაზე უკეთესი იქნება, რომ იგინო
გარუსებას გაჰყვნენ და ამით გადაიხადონ თვისი ვა-
ლი და საქართველო რუსეთათ იქცეს.

ეს, გინდ ქართველებმა არ ინდომონ, მაინც
ამათ დაუკითხავად მოხდება, რადგანაც ქართველებს
შომავალი არა აქვთ; მათ განვლეს ყველა ხანა და
ეხლა მარტოთ მოსპობის გზაზე სდგანან.

მოიყვანა კიდევ ასეთი მაგალითი, რითაც მან
დაიცვა მუხრანსკის თეორი.

„კაცი იბადება, იზრდება, ბერდება და მერე
კვდება. ყველა ეს ხანა ქართველებმა გაიარეს, ეხ-

ლა ქართველები სამარეში წვანან და მათ ერთად-
გ' თი მიწის მიყრის მეტი სხვა აღარა უნდათრა".

ამ ლექციამ ქართველ საზოგადოებაში დიდი
აურჩაური და კამათი გამოიწვია. მაინც ეს რუსი
იყო ისეთი კაციჭამია და გემნაზიაში შეგირდების
მდევნელიც, რომ ამ ლექციის წაკითხვის რამდენი-
მე წლის წინჯთ მას მოწაფეებმა სცემეს და ბალკო-
ნიდამ ძირს ჩამოაგდეს. არ მოკვდა, მთავრობამ მა-
ინც არ გამოსცვალა და როგორც მონარქიის ცხა-
რე მფარველი ისევე გიმნაზიაში დასტოვეს დირექ-
ტორათ. ამ ცემა-ტყეპის შემდეგ წაკითხა მან ეს
ლექცია ქართველი ერის შე იხებ. ამ ლექციის გა-
მო ჟილიხოვსკი სასტიკათ დაგმეს იმ დროის თბი-
ლისის რუსულ და ქართულ გაზეთებში.

მართლაცა და მტერ რუსების და ქართველუ-
ბისაგან გ. მუხრანსკი ისე იყო გათამამებული, რომ
მას თავის გამარუსებელი განძრახვა მეცნიერულ გა-
მოკვლევათ მიაჩნდა და იმასაც ფიქრობდა იგი, რომ
ჩემი მოძღვრება ბოლოს მსოფლიო მიმართულებას
მიიღებსო. ამიტომაც გ. მუხრანსკიმ თავის წიგნის
ერთი ცალი თამამად გაუგზავნა იმერეთის გვისკო-
პოზის გაბრიელს და თან დაავალა ამ წიგნის გაც-
ნობა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა ამ წიგნს ჯეროვანი ყუ-

რადლება მიაქცია, იგი დროზე გაიცნა და მალე გ. მუხრანსკის ამ რუსული წიგნის შესახებ ქართულად დაწერილი წერილი მოსწერა. ეს წერილები საყურადღებონი არიან დამწერის კეთილშთბილურის და შამულის შვილურის მიმართვით. იგი დაბეჭდილია 1894 წ. ფურ. „მოამბეში“. ყოვლად სამღვდელო ქართულად წერილის მოწერას არ მოერიდა, რადგან გ. მუხრანსკის ქართული ენა, წერა-კითხვა და ლაპარაკი კარგათ სცოდნია.

ამის შემდეგ გაისმა ის ჰმაც, რომ გ. მუხრანსკისთვის გაბრიელ ეპისკოპოსს წერილი მოუწერია, ამიტომ ქართველ საზოგადოებაში გ. მუხრანსკისა და გაბრიელ ეპისკოპოსის წერილის შესახებ ლაპარაკიც იმართებოდა. ამ დროს, ერთ დღეს, შემთხვევით, ისტორიკოსიპ. იოსელიანი ორბელიანთან გახლდათ. ამ დღეს შემთხვევით გ. მუხრანსკიც იქ მივიდა. ესენი სამივე გენერლები იყვნენ, ერთი სამოქალაქო და ორი სამხედრო. ამათში ლაპარაკი ჩამოვარდა გ. მუხრანსკის წიგნის შესახებ პლატონ იოსელიანმა გ. მუხრანსკის არ მოუწონა იდეით და ამიტომ ასეთი სიტყვა უთხრა:

„კნიაზო გიორგი! თქვენ დიდი განათლების და დიდი ჭიუის კაცი ბრძანდებით და მასთან დიდი თანამდებობისა, მაგრამ მეც მოგახსენებთ ჩემს პატარა

ქართველების გარუსების შესახებ: საქართველო ძალ-
ლის კუდსა პგავს, როგორც ძალლის კუდს ვერავინ
გაასწორებს, ისევე საქართველოს ვერავინ შესჭამს
და მოსპობს. საქართველო და ქართველი ერი შვი-
ლმა სამეფომ ჩაიდო პირში და მათ სურდათ საქარ-
თველოს გაღაყლაპვა, მაგრამ ჩაყლაპვა გაუჭირდათ,
ჩაყლაპვის დროს ყელი გაუსჭრათ და საქართველო
პირიდამ გადმოვარდათ და საქართველო თვისუფა-
ლა დარჩა. ასე და ამ გვარად საქართველომ შეჭამა
თვის შემჭმელი შვილი დიდი სამეფო, დღეს სა-
ქართველოს შემჭმელი სამეფონი დამცირებულნი
არიან თვით საქართველოზედ უფრო უარესათ. ქარ-
თველთ ჩამყლაპავთა შორის; დღეს მერვე ძლიერი
სამეფო გახლავსთ რუსეთი. მოვითმინოთ ვიორგი და
იქნება საქართველომ ამასაც გაუძლოს. მოთმინება
ვიქონიოთ და ვნახოთ როგორ რა გთავდება. თუ
არა და გარუსება ხომ კარს გვადგია, ამას ხომ ვერ-
სად გავექცევით".

ასე და ამ გვარი სიტყვებით დააიმედა გ. მუ-
ხრანსკი პ. ოოსელიანშა. მას შემდეგ განვლო დრომ
და გ. მუხრანსკიც სამსახურიდან გავიდა და პარიუ-
ში გადასახლდა. იქ თვითი წიგნაკი ფრანგულ ენა-
ზე ათარგმნინა და ცალკე წიგნათ დაბეჭდა, მაგრამ
თვისუფალ ფრანგების წინაშე მან ვერაფერი სახე-

ლი ვერ დაიმსახურა, ნაცვლიდ ამის ბევრისგან ძა-
გეების ცნობაც მიიღო. მერე ამ ფრანგული წიგნის
1500 კ. ობილისში ბერმშტანს მოუვიდა და ამან ეს
წიგნები სულ უბრალო სახევ ქალალდათ გაყიდა.

გ. მუხრანსკი პარიზში გარდაიცვალა, იგი სა-
ქართველოში მოასვენეს. მისმა ნათესავებმა ცხეთა-
ში ძველი აკლდამები გათხარეს და იქ დამარხეს ეს
ჩვენი მტერ-მოყვარე.

მის შემდეგ აღიხოუნენ გ. მუხრანსკის ყველა
ქართველი გენერლები და დღეს ისტორიკოსი პ.
იოსელიანის წინასწარმეტყველება აღსრულდა.

ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის წე-
რილმა, რომელიც „მოამბეში“ დაიბეჭდა, მკაფიოთ
გამახსენა ჩვენი ძველი გიორგი მუხრანსკი, მისი
სწავლა, მოძლვრება და განძრახვა.

ვითომდა მეცნიერი ფილოსოფოსი უჯერო და
ანგარიშებით სავსე განძრახვა თვის შორის იპყრობ-
და შემდეგს: დიდ დროის მიშდინარეობის მეოხებით
ყველაფერი გარდაქმნას ეძლევა, გარდაქმნის მეო-
ხებით სუსტნი იღუპებიან, ისპობიან, ესენი ძლიერს
უერთდებიან, ძლიერნი მაგრდებიან, ვრცელდებიან
და ღონივრდებიან.

ენათ-მეცნიერებამ (ფილოლოგიამ) დაგვანახვა,
რომ დედამიწაზე ათასამდე ენის ხალხი ყოფილა,

მაგრამ დღეს დედამიწაზე აღარც ხუთასი ენის ხალ-
ხი ცხოვრობს. მერე რა იქმნენ ყველა ეს ხალხი?
გ. მუხრანსკის აზრით, ხალხმა ხალხი შესჭამა, მძლავ-
რმა სუსტი გააჭრო, გადაყლაპა, ეს უტყუარი ჭეშ-
მარიტება არის.

გ. მუხრანსკის აზრით, ეს დამტკიცებული ალ-
სარება გახლავთ თანამედროვე მეცნიერებისა, ვი-
თომ ამას ჰქოლადებდეს დღევანდველი კოსმოპოლი-
ტიური დემოკრატიზაცია და ახალი სწავლა-განვი-
თარებაც, რადგანაც ასეთ მოვლენას და გადაშენე-
ბა-გადაყლაპვას ჩვენ თვით ცხოველებშიაც ვხედავ-
თო. მაგალითებრ, დიდი თევზები ყლაპავენ პატარა
თევზებს, დიდი ფრინველები—პატარებს, დიდი მწე-
რები—პატარას, ობობაც კი მტრობს და სწუწნის
თავის ქსელში გახვეულს პატარა ჰწერს. დიდი პი-
რუტყვი, ანუ ნაღირი, პატარას ჰვლეჯავს და სხვა
და სხვა.

სახელოვანმა ლეტურნთმაც შეგავსება აღიარა
რომის იმპერიის უმთავრეს დაცემის მიზეზებათ. უმ-
თავრეს მიზეზათ რომის დაცემისა მონათა ყლაპვა
გახდა, აქ რომ მონები არ ეყლაპთ, მაშინ შესაძ-
ლებელი იქნებოდა, რომ რომის უზომო ქეიფობის
მიმდევარს დიდს საზოგადოებას თავი გადაერჩინაო,
რომ არ დაღუპულიყოვთ. ლეტურნოს აზრით იხა-

ტება, თუ გინდათ, რომ მომავლისთვის არ დაიღუპოთ, მაშ უპატრონეთ ლატაკ-უძლურ ხალხს და ჩაყლაპვისაგან დაიფარეთ, თორემ მომავალში რომის ხვედრი ევროპის აყვავებულს სამეფოებს წინ დახვდება და ესენი მოისპობიან ისევე შეუმჩნევლათ, როგორც რომი მოისპოვო. მოძღვრის მოძღვრებიდან ცხადათ ისკვნება ის, რომ უძლურს ლადრავს თავი დაანებეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი მძლავრნოვო.

ამ ჰეშმარიტ მოზღვრებას განმარტება აღარ სჭირდება, მკონი არავის უნდა მოეწონოს ის, რომ დღესაც ევროპაში შეძლებულ კაპიტალისტებთაგან შეუძლო მუშები სასტიკათ იჩაგრებიან. ესენი ისე იტანჯებიან, რომ ჯონ სტუარტ მილის და ლეონ ფოშეს სიტყვით, მდიდარ ინგლისში, ხშირათ მუშები ცის ქვეშ ათევენ. შეუძლო ლატაკი დედაკაცები სანაგვეზე შობენ ბავშვებს, ამ დროს კი ლორდები შშვენიერ სარეცელზე ხვრინავენ და განისვენებენ. მათთვის ქვემო და ზემო პალატაც არსებობს. ეს დღეს ევროპაში არავისთვის არ არის მოსაწონი, მაგრამ ჩვენში კი იყვნენ და არიან კიდევაც ისეთი მეცნიერ ფილოსოფები, რომელნიც დიდთაგან უძლუვრის ჩაყლაპვას კანოიიერათ სთვლიან. თავიანთ აზრებს ხშირათ დიდებული დარვინის მოძღვრებითაც

ასაბუთებენ და მით ამახინჯებენ ხშირათ თვით დარ-
ვინსაც.

აი, რას ბრძანებდა კიდევ და კიდევ გ. შუბ-
რანსკი კავკასიაში და კერძოთ საქართველოში: ცხოვ-
რობს ოუზაირი მიღეთის ენის და მწიგნობრობის
ხალხი, მაგ.: ქართველები, კახელები, თუშები, ფშა-
ველები, მოხვევები, ხევსურები, მეგრელები, გურუ-
ლები, რაჭველები, სვანები, იმერლები, ინგილონი,
მთიულები და სხვანი. ყველა ამათ რომ თავიანთ
დედა-ენაზე მიეცეთ პირველ დაწყებითი სწავლა. ეს
ერთობ შორს წავა. მე უჯეროთ მიმაჩნია, რადგანაც
დღეს თუ ხვალ ყველა პატარა მცხოვრებნი უნდა
გაწყდნენ და მოისპონ. ამიტომ უმჯობესი იქმნება,
რომ გვიან მოსარჩენი ჭირი აღრვევე მორჩეს, ყველა
ამ პატარა ტომებს თავიანთ დედა-ენის მაგივრად
მძლავრის ენაზე მიეცეს სწავლა-განათლება და ამის
მეოხებით ეს პატარა ამოსაწყვეტი ერი მალე გაწყ-
დეს, მალე მოისპონ ბრძოლის ასპარეზზე და დიდ
ხალხს შეუერთდნენო.

ეს უკულმართი აზრები ჩვენში მრავალთაგან არ
აქმნა მოწონებული და მას საფუძვლიანი პასუხიც
გასცეს. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებმა რუ-
სულათ პასუხი დაუწერეს და ცალკე წიგნათ დაბეჭ-
დეს. იმ დროის ადგილობრივ მწერლობა ამან აალა-

პარაკა. უურ. „კრებულში“ პ. უმიკაშვილის ვრცელი წერილი დაიბეჭდა, აკაკის ლექსი და „დროებაში“ გ. წერეთლის სახარება. ერთიცა და მეორეც ჩინებულათ არღვევდნენ მეცნიერის ბილწს განზრახვაბს, გამარტუსობის ოსტატობას.

მეცნიერი არ კმარობდა მხილებას და თავის ბოროტ მოძღვრებას დიდებულის დარვინის მოძღვრებითაც ასაბუთებდა, რომ ვითომც ასეთ გადაქმნა-გადაყლაპვას დარვინიც ლალადებსო, მაგრამ ამაოთ.

დარვინის მოძღვრებით გადაქმნა და გადაშენება რაიმე ძალდატანების გადახტომ-გადასკუპვა ძალადობით კი არ ხდება, არამედ წყნარის, მშვიდობიანი პროგრესიული განვითარებით, მიმოსვლით, წარმატებით, რასაც კაცობრიობა დღითი-დღე ეძლევა. დარვინი ასეთ საგანს და გადაყლაპვას სულ არ ეხება, ეს ჭორებია, მოგონილი ცილი, ასეთი გარდაქმნა-გადაშენებას დარვინი სხვა ნაწილებში ხედავს: ბუნებაში, მშვენიერებაში, მსგავსებაში და სხვაში, რასაც უეჭვოთ ამტკიცებენ დარვინისტებთ შორის სახელოვანი გმიცელი, ფოხტი, გეოლოგი ლაელი, შლეიდენი და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა. მაგრამ ჩვენ ამის არავიცით-რა. ჩვენ ვიწამეთ მუხრანსკი, მაგალითსაც მოგახსენებთ.

ერთხელ გრ. ორბელიანმა დამიბარა, მე წავე-

ლი. იქ იყო ივანე კერესელიძეც. სიტყვა ქართულს
მწერლობაზე ჩამოვარდა. მერე მე შევძედე, რომ
თქვენმა დროის კაცებმა ვერაფერი გააკეთეთ, გაკე-
თებას გარდა დიდთაგან პატარის გადაყლაპვაც კა-
ნონათ აღიარეთ. მე მიუთითე გ. მუხრანსკზე. გრ.
ორბელიანი დაფიქრდა და ი. კერესელიძეს მიმართა:

— ივან ივანიჩ! შენ მითხარ, მაში ჩვენ დავრ-
ჩებით, მაში ასე არ იქნება, როგორც მუხრანსკი
ბრძანებს?

— ეჭ, დავრჩებით კი არა, ჩვენი საქმე წასუ-
ლია, უილისოვსკიმ ტყუილათ კი არ გაგვითხარა
სამარე.

მე უკმაყოფილო დავრჩი, საყვედურები უთხა-
რი ივან ივანიჩს, მაგრამ ისინი მაინც იმას მარწმუ-
ნებლნენ, რომ მომავალში პატარა ტომები უნდა
მოისპოსო. გრ. ორბელიანმა თქვა:

— ჩვენ იმედი 1850 წ. გადავიწყვიტეთ, იმი-
ტომ დავანებეთ თავი წერას, თორემ ასე რათ იქ-
ნებოდა. ჩვენ თუ ვწერდით რამე ლექსებს, იმასაც
შინაურულათ და არა დასაბეჭდათ. ბეჭდვა ვინ იცო-
და. ეს სულ ივან ივანიჩმა აიტეხა, რომ „ცისკრის“
ბეჭდვა დაეწყო, თორემ ვინ რა თავში იხლიდა ქარ-
თულს. ქართული გლეხების ენათ შეაქმნა.

ასე ოცნებობლნენ ჩვენი ნეტარ ხსენებული

947.992

ქ 551

— 32 —

ცხონებული მამები, ასე ინახავდნენ ისინი თავიანთ
გულსა და ოფალებს.

გ. მუხრანსკი პარიზში წავიდა, თავის მეცნიე-
რება იქ რუსულიდან ფრანგულათ ათარგმნინა და
დაბეჭდა კიდეც. ეგონა, მით გააკვირვებდა თავი-
სუფალ ფრანგებს, მაგრამ ამაოთ. მისი გამოცემა
მთლად თბილისში გამოიგზავნა, მე ფუთობით ვიყი-
დე და სახევ ქაღალდათ გავყიდე. ასეთი ხვედრი
მოევლინა მუხრანსკის მეცნიერებას.

დასასრულ, უნდა ვთქვათ შემდეგი: მთელი
ქართველობა დიდათ იყო დანაღვლიანებული და
ყველას იმედი ჰქონდათ გადაწყველილი, რომ რუ-
სეთის მონარქიის წყალობით საქართველო მაღე
მოისპობა და ქართველი ერიც გადაგვარდებაო. ამი-
ტომ იყო რომ ქართველი ერის საუკეთესო ძალა,
მწერლობა, გოდებას და გლოვას მისდევდა. მად-
ლობა ღმერთს, რომ ჩვენი დღენი ისე არ გათავდა
და მუხრანსკის თეორიის თანახმათ არ მოვისპენით.

